ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №48

ქ. თბილისი 10 დეკემბერი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე დავით ნინიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: გიორგი გოგოლაშვილი, კახაბერ ნიაური, დავით მახარობლიშვილი, გიორგი ჩაჩანიძე, გია აბულაძე, მერაბ გუჯეჯიანი.

მოწვეულები: ირ. კვარაცხელია, ლ. ხვედელიძე, მ. გურგენიძე, გ. კუჭაიძე, ი. თოხაძე, გ. თოხაძე, ფ. მჭედლიძე, ვ. ცომაია, ზ. გეწაძე, გ. ხუციშვილი, მ. კაპანაძე, კ. მორჩილაძე, გ. რაზმაძე, გ. წიკლაური, ვ. კირკიტაძე, მ. ზვიადაძე, მ. ზვიადაძე, გრ. წერეთელი, ლ. ხუციძე, ნ. გობეჯიშვილი, ა. შენგელია, გ. სესიტაშვილი, დ. სესიტაშვილი, დ. ბენაშვილი, სალიხ სელმან აჰაიდინ, ჰენეინ ირმაზი, ალ. ქსოვრელი, ხ. სეთურიძე, ალ. ტყეშელაშვილი, გ. ცინცაძე, ზ. ნემსაძე, გ. ბოკუჩავა, ს. კახნიაშვილი, მ. შარაშენიძე, მ. ვარდოსანიძე, კ. მამალაძე, ს. მგალობლიშვილი, ვ. ღლონტი, ქ. რობიტაშვილი, ლ. გელაშვილი, ზ. გეწაძე, ე. ქემოკლიძე, დ. მაკალათია, პ. შუბითიძე, ვ. ვზევსკი, რ. ბაღდასაროვი, მ. ხორიაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

(მოწვეულები – ფ. მჭედლიძე, ვ. ცომაია).

8. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დოლიძის ქ. №120ა-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ზ. გეწაძე, გ. ხუციშვილი).

9. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაზისუბნის ქ. №24-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – მ. კაპანაძე).

10. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, შროშის ქ. №2-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

11. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, წინანდლის ქ. №12-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – კ. მორჩილაძე, გ. რაზმაძე).

12. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის VII მიკრორაიონში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №72.13.27.673) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – გ. წიკლაური).

13. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჟ. შარტავას ქ. №18ბ-ში (ყოფილი ანაგის) არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ვ. კირკიტაძე).

14. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ზ. ფალიაშვილის №22-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – მ. ზვიადაძე).

15. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მგალობლიშვილის ქ. №6/1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე შერეული ფუნქციის შენობა-ნაგებობის (საცხოვრებელი–საოფისე) განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეულები – მ. ზვიადაძე, გრ. წერეთელი).

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, შროშის ქ. №2-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,8.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

11. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, წინანდლის ქ. №12-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – კ. მორჩილაძე. **AR 1182258**
დადგენილი პარამეტრები –კ1=0,5. კ2=1,5.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ1=0,7. კ2=3,5.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია ავტოპარკინგის გათვალისწინებით.
- მისაღებია.
- მისაღებია. გასათვალისწინებელია ავტოპარკინგი და ფუნქციური დატვირთვა (მისაღებია სამედიცინო კვლევითი ცენტრი).
- მისაღებია პარკინგით უზრუნველყოფის პირობით.
- მისაღებია. აუცილებელია სადგომებით უზრუნველყოფა.
- მისაღებია. პარკინგის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისნის რაიონში, წინანდლის ქ. №12-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,7. კ2=3,5.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

12. გ. წიკლაურის ინფორმაცია ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის VII მიკრორაიონში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №72.13.27.673) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ლ. გოგოხია. **AR 1180826**

- მიეცეს თანხმობა №3/3666-13 საქმეზე მოსარჩელე როინ ლიპარტელიანის სარჩელთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" სასამართლოში წარმოდგენისა და მისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სასამართლოსთან და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების იურისტის ოთარ ნარჩემაშვილისთვის უფლებამოსილების მინიჭებაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარე დავით ნინიძე

კომისიის აღმასრულებელი მდივანი გაგეშიძე

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 2873

" 16 " დეკემბერი 2013 წ.

ქ. თბილისში, წინანდლის ქ. №12-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 10 დეკემბრის სხდომის №48 ოქმის შესაბამისად:

1.ქ.თბილისში, წინანდლის ქ. №12-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ1=0,7, კ2=3,5.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.” ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTG22 (220101480) ა/ანგარიში: GE90LB0125152101627769.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს–ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი დგებულავა


N
0.34
255.7
საცხოვრებელი ზონა (სზ)
5.94
სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
0.57
1:150